ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2732841

ნომერი: AR1424143

თარიღი : 19.07.2016

გაცემის თარიღი : 05.08.2016

გაცნობის თარიღი : 05.08.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლესელიძის II ჩიხი , N 7 / ქალაქი თბილისი , ქუჩა კოტე აფხაზი , ჩიხი II , N 9 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ლესელიძე , N 37 / ქალაქი თბილისი , ლესელიძის II ჩიხი N6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- აბედ რამსის პ/ნ A07291797
- ზანდუკელის ქ. 9

ორგანიზაცია:
- შპს “RAMSIS” კოდი: 404434117

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი მარსაგიშვილი

"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, ,,საქართველოს კულტურისა და ძეგლთა

დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქ. ჩიხი II, N9/ლესელიძის ქ. N37/ლესელიძის ჩიხი II, N6–ში სასტუმროს ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხი განხილული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტორს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი N28, 21.07.2016 წ), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც აღნიშნულ საკითხს ეთქვა უარი. რეკომენდაცია: ,,ახალი შენობა უნდა იყოს მაქსიმალურად ნეიტრალური. წარმოდგენილი პროექტის ფასადი ძალიან აქტიური, ხოლო მოცულობის მარჯვენა მონაკვეთი არქიტექტურულად გაუმართავია - სასურველია ამ მონაკვეთის სიმაღლეში შემცირება. ფასადის დანაწევრება მოხდეს იმდაგვარად, რომ შუშის აქტიური ნაწილი შემცირდეს მარჯვენა და მარცხენა მხარეს. ასევე, გატყდეს და დანაწევრდეს ქუჩის გალერეა-ტროტუარის ჰორიზონტალური გრძელი ხაზი. ფასადის უშუშო ნაწილები სასურველია იყოს მინიმალური დიზაინით, სადა ფორმებით და მასალით. ტროტუარ-გალერეა შესაძლოა გატყდეს ფრონტონებით სასტუმროს შესასვლელ ნაწილებთან.".

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ა. რამსის უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

უარი ეთქვას მოქ. აბედ რამსის ქ. თბილისში, კოტე აფხაზის ქ. ჩიხი II, N9/ლესელიძის ქ. N37/ლესელიძის ჩიხი II N6–ში სასტუმროს წარმოდგენილი ესკიზის წინასწარ შეთანხმების თაობაზე.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.